

შპს ჯრკომ
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ჯრკომ“ ს/კ: 202232896

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მე-3 კატეგორიის საწარმო.

მ. გუკელიძე



შპს ჯრკომ
(თანხები მოცემულია ლარში)

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

1. კომპანია და მისი საქმიანობა
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები
4. პროგრამული უზრუნველყოფა
5. ფული და ფულის ეკვივალენტები
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
7. მარაგები
8. მოკლევადიანი სესხები და გრძელვადიანი სესხები.
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები
11. ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

გ. გუკელიძე



შპს ჯრკომ
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება - ზარალის ანგარიშგება

	12/31/2020	12/31/2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	554782	235871
შემოსავალი მომსახურებიდან	137655	125708
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	121864	0
სხვა შემოსავალი	0	57606
თვითღირებულება	(453724)	(198507)
საერთო მოგება	360577	220678
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(375484)	(220625)
სახელფასო ხარჯები	(99669)	(112459)
ცვეთა, ამორტიზაცია	(39091)	(33564)
საპროცენტო ხარჯი	(54301)	(34481)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(182423)	(40121)
საოპერაციო მოგება-ზარალი	(14907)	53
საპროცენტო შემოსავალი	576	107
მოგება დაბეგვრამდე	(14331)	160
მოგების გადასახადი	(13376)	(7627)
წმინდა მოგება (ზარალი)	(27707)	(7467)
მთლიანი სრული შემოსავალი-ზარალი	(27707)	(7467)

დირექტორი :

ბესიკ მეშველიანი

ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ბ. მეშველიანი



(Handwritten signature)

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	421583	455121	478620
არამატერიალური აქტივი	149	176	207
სხვა გრძელვადიანი აქტივი	8461	8461	8461
	430193	463758	487288
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	43125	65754	82784
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	252781	228003	413463
მარაგები	586558	635718	749635
	882464	929475	1245882
მთლიანი აქტივები	1,312657	1393233	1733170
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2400	2400	2400
გაუნაწილებელი მოგება(დაგროვილი ზარალი)	(7467)	20649	124483
	(5067)	23049	126883
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	127116	159010	0
	127116	159010	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	113008	107515	251336
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1075345	1098097	1354951
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	1000	0
საგადასახადო ვალდებულებები	2255	4562	0
	1190608	1211174	1606287
მთლიანი ვალდებულებები	1317724	1370184	1606287
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	1,312657	1393233	1733170

დირექტორი :

ბესიკ მემველიანი

ბ. მემველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	2400	124483	126883
წმინდა მოგება	-	124483	124483
გაცემული დივიდენდი	-	(103834)	(103834)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	2400	20649	23049
წმინდა მოგება	-	(7467)	(7467)
გაცემული დივიდენდი	-	(20649)	(20649)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	2400	(7467)	(5067)

დირექტორი:

ბესიკ მემშველიანი

გ. გეგუაძე



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

(Handwritten signature)

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯრკომ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში

2004 წლის 11 ივნისი. იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის 95

კომპანიის 50 % წილის მფლობელია ბესიკ მეშველიანი (პ/ნ 27001000230)

35% წილის მფლობელია პაატა მეშველიანი (პ/ნ 01006004158)

15% წილის მფლობელია სანდრო მეშველიანი (პ/ნ 01006018629)

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: 47430 - საცალო ვაჭრობა აუდიო და ვიდეომოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

კომპანიის ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში. პოლიტკოვსკაიას 7

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-რ“ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

დირექტორი: .

ბესიკ მეშველიანი

გ. მეშველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდ შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით. გაყიდვები ნაჩვენების დღე-ს გარეშე.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: - კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს; - კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

დირექტორი :

ბესიკ მუშველიანი



ბ. მუშველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

დირექტორი :

ბესიკ მემველიანი

ბ. მემველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2021	01/11/2021
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში. ქვემოთ მოცემულია აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები:

1. შენობა-ნაგებობები 30 წელი
2. სატრანსპორტო საშუალებები 8-15 წელი
3. კომპიუტერები და ელექტრონული ტექნიკა 2-12 წელი
4. ავეჯი და ინვენტარი 3-15 წელი
5. მანქანა-დანადგარები 7-18 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი. კომპანიის არამატერიალური აქტივი არის: საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა ორისი.

დირექტორი :

ბესიკ მეშველიანი

ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი



შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ხელფასები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

დირექტორი :

ბესიკ მემველიანი

ბ. მემველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხვავესი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

დირექტორი :

ბესიკ მეშველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი

ბ. მეშველიანი

შპს ჯრკომ
(თანხები მოცემულია ლარში)

3. ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენობა ნაგებობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	ტურბინული მოწყობ.ელ.ძრავები და გენერატორები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.21	486527	62317	7059	59841	615744
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.21	486527	62317	7059	59841	615744
დაგროვილი ცვეთა 01.01.21	(112116)	(26130)	(1689)	(20688)	(160623)
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.21	374411	36187	5370	39153	455121
ცვეთა 2021წ.	(18721)	(6557)	(429)	(7831)	(33538)
დაგროვილი ცვეთა 31.12.21	(130837)	(32687)	(2118)	(28519)	(194161)
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.21	355690	29630	4941	31322	421583

დირექტორი :

ბესიკ მემველიანი

ბ. მემველიანი

ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი



შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

4. პროგრამული უზრუნველყოფა

	არამატერიალური აქტივი	სულ
1 იანვარი 2021	844,12	844,12
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
ცვეთა და გაუფასურება		
1 იანვარი 2021 დაგროვილი ცვეთა	(668,22)	(668,22)
დაგროვილი ცვეთა	(668,22)	(668,22)
გასვლა	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2021	175,9	175,9
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
ცვეთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2021 სულ დაგროვილი ცვეთა	(694,61)	(694,61)
2021 წლის ცვეთა	(26,39)	(26,39)
გასვლა	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2021	149,51	149,51

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	01/01/2021	31/12/2021
ნაღდი ფული სალაროში	9213	270
ფული საბანკო ანგარიშებზე	8753	42855
უცხოური ვალუტა ბანკში	47788	
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	65754	43125

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	01/01/2021	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნები	228003	252781
გადახდილი ავანსები	-	-
საგადასახადო აქტივი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	228003	252781

დირექტორი:

ბესიკ მეშველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

(Handwritten signature)

(Handwritten signature)

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

7. მარაგები

	01/01/2021	31/12/2021
საქონელი	635718	586558
სულ მარაგები	635718	586558

8. მოკლევადიანი სესხები და გრძელვადიანი სესხები.

მოკლევადიანი სესხი (საკრედიტო ხაზი):

	%	მოკლევადიანი სესხების ნაშთი 01.01.2021	აღებულია 2021 წ.	დაფარულია სესხის ძირი თანხა	დაფარულია %	ნაშთი 31.12.2021 წ.
საბანკო სესხები სულ		107515	188218	182725	14002	113008
პროკრედიტ ბანკი	11%	107515	13600	121115	3130	0
საქართველოს ბანკი	10.5%	0	174618	61610	10872	113008

გრძელვადიანი სესხი:

	%	გრძელვადიანი სესხების ნაშთი 01.01.2021	აღებულია 2021 წ.	დაფარულია სესხის ძირი თანხა	დაფარულია %	ნაშთი 31.12.2021 წ.
საბანკო სესხები სულ		159010	151000	182894	18901	127116
პროკრედიტ ბანკი	10.8%	90650	0	90650	4383	0
პროკრედიტ ბანკი	10.8%	68360	0	68360	3336	0
საქართველოს ბანკი	10.2%	0	151000	23884	11182	127116

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	01/01/2021	31/12/2021
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1098097	1075345
მიღებული ავანსები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1098097	1075345

დირექტორი:

ბესიკ მეშველიანი

ბ. მეშველიანი



ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი

ი. უსუფაშვილი

შპს ჯრკომ

(თანხები მოცემულია ლარში)

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას. საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

11. ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

დირექტორი :

ბესიკ მეშველიანი

ბუღალტერი:

ილია უსუფაშვილი



გ. გუგუაძე

